ხელშეკრულება №12

ქ. თბილისი „27 „ აპრილი 2011 წ

ერთის მხრივ, შ.პს „თბილისის № 24 შერეული პოლიკლინიკა – საოჯახო მედიცინის ცენტრი“ (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის მიხეილ კილაძის სახით და

მეორეს მხრივ, ორიენტ ლოჯიკი (შემდგომში-მომწოდებელი), დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლებით *კარტრიჯისა და კომპიუტერის აქსესუარების* შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია *კარტრიჯისა და კომპიუტერის აქსესუარების* შესყიდვა, რასაც ახორციელებს მიმწოდებელი შემსყიდველის მიმართვის საფუძველზე.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში დღგ-ს ჩათვლით.

3.2 შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელოს კარტრიჯისა და კომპიუტერის აქსესუარების შესყიდვა 600 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ფარგლებში.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან მიმწოდებლის მიერ ინვოისიში მითითებული ვადების შესაბამისად.

5.2. შესყიდვების ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდელთათვის (ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია ცალმხრივი გადაწყვეტილებით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები ანაზღაურებენ ერთმანეთის მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შ.პ.ს. "თბილისის №24 შერეული პოლიკლინიკა
- საოჯახო მედიცინის ცენტრი"
რუსთაველის გზატკეცილი №28
ს/კ: 204386529
ტელ: 40 39 08

ს.ს. საქართველოს ბანკი
ანგ №017467389

ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი:

/მ. კილასონია/

ბ.ა.

მიმწოდებელი

ორიენტ ლოჯიკი

8. ბელიაშვილის ქ

ტელ : 995 32 541818

ს.ს. საქართველოს ბანკი
ანგ №36029810200513170000

ბანკის კოდი: BAGAGE22

დირექტორი:

/ვ. ნასყიდაშვილი /

ბ.ა.